



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 767

24/04/2018

ქალაქი ბათუმი

767-05-4-201804241503



„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ კაპიტალურ მშენებლობებზე ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებზე ობიექტთა მიკუთვნების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 აპრილის №346 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის გ. ქურდიძის 2018 წლის 17 აპრილის №1082 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ კაპიტალურ მშენებლობებზე ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებზე ობიექტთა მიკუთვნების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 აპრილის №346 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-3-ე პუნქტის „3.2.“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„3.2. სოფელ ზედა თხილნარში ცეცხლაძეების უბანში წყალსადენის მილის დაერთება ცენტრალურ მაგისტრალზე;“.

ბ) მე-3-ე პუნქტის „3.5.“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„3.5. სოფელ კიბეში სასმელი წყლის 30 ტონიანი რეზერვუარისა და მაგისტრალის მოწყობა.“.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა